აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

#01-04/124 30.11.2022

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების დანიშვნის შესახებ

ს ს ი პ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებისა და სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსისა და შესაბამისი ფაკულტეტების დებულებების შესაბამისად ვბრძანებ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე ჩატარდეს წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები (აკადემიური პერსონალისათვის)

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე -7 ადგილი

ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 3 ადგილი

პედაგოგიური ფაკულტეტზე - 1 ადგილი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 4 ადგილი

საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე - 3 ადგილი

მედიცინის ფაკულტეტზე - 2 ადგილი

საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე - 1 ადგილი

საზღვაო - სატრანსპორტო ფაკულტეტზე - 1 ადგილი

აგრარული ფაკულტეტზე - 2 ადგილი

2. არჩევნები ჩატარდეს 2022 წლის 27 დეკემბერს 10 სთ.-დან 16 სთ.-მდე.

3. კანდიდატების რეგისტრაცია მოხდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 2022 წლის 6 დეკემბრიდან 15 დეკემბრის

ჩათვლით, 12 საათიდან 15 საათამდე; მისამართი თამარ მეფის ქუჩა №59, I კორპუსი, აუდიტორია №1138.

4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება.

5. არჩევნებში მონაწილეობის მსურველებმა, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ)ცნობა უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.

გ) განცხადება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შესახებ.

6. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდზე.

7. ბრძანების გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას (მათ შორის ფაკულტეტების საინფორმაციო დაფაზე) დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნი კომისიას და ფაკულტეტის დეკანებს.

8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურს.

9. კონკურსანტების მიერ პრეტენზიების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით 16 საათამდე.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აწსუ რექტორის შ.წ. პროფ. შალვა კირთაძე

აწსუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე : მინდია ბერეკაშვილი